

**საქართველოს
გეოპოლიტიკური მდგომარეობის
რეფლექსია ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში
„ოდისეოსის დაბრუნება“**

**NODAR DUMBADZE'S SHORT STORY
THE RETURN OF ODYSSEUS:
A REFLECTION ON GEORGIA'S
GEOPOLITICAL SITUATION**

გიორგი ხორბალაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო

Giorgi Khorbaladze
Gori State University
Gori, Georgia

აბსტრაქტი

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში სრულიად განსხვავებული ტიპის ნაშრომს წარმოადგენს მოთხრობა „ოდისეოსის დაბრუნება“, რომელიც ფაქტობრივად არასოდეს გამხდარა ლიტერატურულ კრიტიკაში კვლევის საგანი. იმის მიუხედავად, რომ მოთხრობა უაღრესად საინტერესო და მდიდარ მასალას იძლევა როგორც ლიტერატურის, ისე ლიტერატურის ისტორიისა და საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით. მოთხრობა მხატვრულ-დოკუმენტური კოლაბორაციის ნიმუშია და მისი თანამედროვე ეპოქის გათვალისწინებით მწერალი იძულებულია ორაზროვანი ბუნების წინადადებებითა და პასაჟებით თან ასახოს რეალობა და თან დაიტოვოს „უკანდასახევი გზა“; ამგვარი მიდგომის გამო, ბუნებრივია, რჩება საკმაო სივრცე ტექსტის არასწორი და საპირისპირო ინტერპრეტაციებისათვისაც კი, რისი გამოსწორებაც ნაწარმოების ერთიანი კონტექსტის გააზრებითა და დეტალური ანალიზითაა შესაძლებელი. ჩვენ ეს მოთხრობა ადრეც განვიხილეთ სხვა სტატიაში, სადაც ყურადღება გავამახვილეთ სწორედ იმის თაობაზე, რომ ზედაპირული ინტერპრეტაციების შედეგად არსებობდა მოსაზრებანი, თითქოს მწერალი ამერიკის განვითარებას აკნინებს და ამ ფონზე განადიდებს საბჭოთა კავშირს. მაგრამ საკმარისია ჩავუღრმავდეთ ტექსტს და გავითვალისწინოთ მასში არცთუ იშვიათად არსებული დამიჯრული მონაკვეთების ბუნება, რომ სურათი სრულიად საპირისპირო სახეს იღებს.

„ოდისეოსის დაბრუნება“, ჩვენი შეფასებით, დიდი გულისტკივილით დაწერილი ტექსტია, რომლის კითხვისას მკითხველს ხშირად აღემგვრება

სინანულის, მოწყენილობისა თუ გულისტკივილის ამოუცნობი განცდა, განსაკუთრებით კი – ქართველ მკითხველს. *Конец формы* ზოგან ეს გახლავთ გულისტკივილი ეროვნული თვითმყოფადობის საკითხთან მიმართებით, სხვაგან – ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობის შევიწროვების გამო, სხვაგან – სინანულის განცდა დემოკრატიზმის შეზღუდვას ეხმაურება, ან გაფლანგულ შესაძლებლობებსა და დროში ჩამორჩენილობას.

წინამდებარე ნაშრომი ერთგვარი გაგრძელებაა ჩვენი ზემოთ ნახსენები სტატიისა, რადგან ის, რასაც ამჯერად ვიკვლევთ, ასევე დამოკიდებულია ორაზროვანი ბუნების მონაკვეთებისა და წინადადების სწორად წაკითხვაზე, რის შედეგადაც ნათლად იკვეთება საბჭოთა პირობებში და საბჭოთა მარწუხებში მოქცეული საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის მწერლისეული აღქმა.

საკვანძო სიტყვები: ქართული მწერლობა, ნოდარ დუმბაძე, „ოდისეოსის დაბრუნება“.

ABSTRACT

A Nodar Dumbadze's short story *The Return of Odysseus* represents a distinctly unique narrative within his literary oeuvre, yet it has been largely overlooked by literary critics. Although the story provides highly engaging and rich material related to both literature and literary history, as well as contemporary issues in Georgia's recent history, it stands as a testament to artistic-documentary collaboration. Considering its contemporary context, the writer is compelled to represent reality using ambiguous statements and passages while also leaving an "escape route" open. Consequently, this approach inevitably creates significant opportunities for misinterpretation and even conflicting interpretations of the text, which can be resolved through a thorough understanding of the work's overall context and a detailed analysis. Earlier, we examined this story in another article, emphasizing that superficial interpretations have led to opinions suggesting that the writer disparages America's development in favor of glorifying the Soviet Union. However, simply by analyzing the text in greater depth and considering the nature of the frequently encoded segments it contains, we find that the overall picture presents a completely opposite perspective.

In our opinion, *The Return of Odysseus* is a work written with deep sorrow, frequently evoking in the reader an ineffable sensation of regret, melancholy, or grief, especially in Georgian readers. This sorrow may stem from concerns regarding national identity in some instances, from the diminishing significance of the Georgian language and literature in others, and elsewhere it reflects a sense of regret about limitations on democratization, lost opportunities, and a sense of being left behind in time.

This work can be seen as a continuation of our previously mentioned article, since the focus of our ongoing inquiry also relies on the accurate reading of ambiguous segments and phrases. Consequently, it clearly highlights the writer's understanding of Georgia's geopolitical situation under Soviet conditions and constraints.

Keywords: Georgian literature, Nodar Dumbadze, *The Return of Odysseus*..

შესავალი

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში სრულიად განსხვავებული ტიპის ნაწარმოებია მოთხრობა – „ოდისეისის დაბრუნება“, რომელიც პრაქტიკულად არ ყოფილა განხილული სალიტერატურო კრიტიკის მიერ. ჩვენ ადრეც დავუთმეთ ყურადღება ამ მოთხრობას და განვიხილეთ ერთი მეტად საინტერესო საკითხი, კერძოდ, მოსაზრებანი იმის თაობაზე, თითქოს მწერალი ამერიკას და მის განვითარებას ამცრობს საბჭოთა კავშირის განდიდების ფონზე, რაც ზედაპირული შეფასებად მივიჩნიეთ და ვფიქრობთ, გადავავასეთ კიდევ სათანადო არგუმენტებით, რამდენადაც ტექსტის დაკვირვებით წაკითხვის შედეგად აშკარა ხდება, რომ ამდაგვარი ინტერპრეტაცია სრულიად უსაფუძვლოა და რეალურად აბსოლუტურად პირიქით არის საკითხისადმი მწერლის განწყობა.

ამჯერად კი ჩვენი კვლევის მიზანია გავიგოთ, რა მდგომარეობაში მიიჩნევს და ასახავს მწერალი საქართველოს გეოპოლიტიკურ ვითარებას ამ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო „პოლუსს“ შორის, რის შესახებაც, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ბევრი რამ იკითხება ტექსტში.

რა თქმა უნდა, საბჭოთა პერიოდში მოღვაწე მწერლისათვის არ იყო მარტივი ამოცანა ისე წერა, როგორც სურდა და ფიქრობდა, თუმცა ნოდარ დუმბაძესთან ყოველთვის იკვეთება წრფელი განცდები ტექსტებს შორის, რომლის ამოკითხვაც სულ მცირე დაკვირვების შემთხვევაშიც კი უმარტივესია.

წყაროების / ლიტერატურის მიმოხილვა

ნოდარ დუმბაძის შემოქმედების შესახებ არსებული კვლევები ზოგადად ძალზე მწირად გამოიყურება მწერლის შემოქმედების მასშტაბების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სერგი ჭილაიას, ელგუჯა მაღრაძის, გურამ ასათიანის, სოსო სიგუას, გურამ გვერდთელის, მანანა კუპატაძის, ჟაკლინ სირამისა და სხვათა წერილები, რეცენზიები თუ ნაშრომები, ჩვენი შეფასებით, მაინც ძალიან ბევრი აქტუალური და პრობლემატური საკითხია ყურადღების მიღმა დარჩენილი. ამდენად, ვინაიდან ჩვენი კვლევა აბსოლუტურად განსხვავებულ გზას მიუყვება და პრაქტიკულად სამეცნიერო თვალსაზრისით შეუსწავლელ ნაწარმოებს შეეხება, ძირითადად ვეყრდნობით თავად საკვლევ ტექსტებსა და ტექსტის ინტერპრეტაციის მეთოდს.

კვლევის მეთოდოლოგია

როგორც აღვნიშნეთ, კვლევის პროცესში გამოყენებული გვაქვს ტექსტის ინტერპრეტაციის, დაკვირვებისა და შედარებითი ანალიზის მეთოდები, კომპარატივისტული მეთოდი. ასევე, ტექსტის ინტერპრეტაციის დროს გათვალისწინებული გვაქვს კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომა.

მსჯელობა / შედეგები

დავაკვირდეთ „ოდისეისის დაბრუნებას“ ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით და ვნახოთ, სად ჩანს ის ყველაფერი, რაზეც ჩვენი კვლევა ორიენტირებულია. ტექსტში, სადაც კი საქართველო ან ქართველია ნახსენები, ყოველთვის ჩანს, რომ ნოდარ დუმბაძე დემონსტრაციულად ემიჯნება საბჭოთა მწერლების შემადგენლობას და თავს მხოლოდ საქართველოს წარმომადგენლად მიიჩნევს. ამ დამოკიდებულებას იგი

ხაზგასმით აფიქსირებს ყველა შესაძლო შემთხვევაში და თითქოს ამით ამკვეთრებს თვალსაზრისს, რომ მოთხოვნაში არა ორი, არამედ სამი სამყარო იყრის თავს – საქართველო, ამერიკა და საბჭოთა კავშირი. „ჩემთვის, როგორც ქართველი მწერლისთვის, გაუგებარია, როდესაც აქ რომანის, როგორც ლიტერატურული ჟანრის, გარდაცვალებასა და გაქრობაზეა ლაპარაკი; რომანის უკვდავებას თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ წელს ჩემს ქვეყანაში ათას ხუთასი წლის იუბილეს უხდიან პირველ ქართულ რომანს – „შუშანიკის წამება“...

ჩემი ერის მეცხრამეტე საუკუნის სულიერმა მამამ ილია ჭავჭავაძემ ბრძანა:

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა“.

ვფიქრობ, ყოველი ჩვენთაგანი შინაგანად მზად უნდა იყოს, რათა საჭირო ჟამს ერისა და ხალხის სახელით ილაპარაკოს. მე, გარდა ჩემი ეროვნული ლიტერატურისა, აღვიზარდე: ბიჩერ სტოუს, მარკ ტვენის, ფოლკნერის, უიტმენის, ო ჰენრის, ჰემინგუეის, კოლდუელის, სტეინბეკის, საროიანისა და სხვათა წიგნებზე... ის, რაც მე მომწონს ამერიკულ ლიტერატურაში, ჩემად და მშობლიურად მიმაჩნია, ხოლო რაც არ მომწონს, იმას ვერავითარი მრგვალი მაგიდა და დიალოგი ვერ მიმაღებინებს“ (დუმბაძე 1992).

როგორც ციტატიდან ჩანს, არავითარ საბჭოთა თუ სხვა კავშირის წევრობაზე არ საუბრობს მწერალი, არამედ – ქართველობაზე, ერსა და საკუთარ ხალხზე. მეტიც, იმოწმებს ილია ჭავჭავაძეს და ეთანხმება, რომ მწერლობის დანიშნულება ერის მსახურებაა, ამდენად, მასაც, პირველ ყოვლისა, თავისი ერის მსახურად წარმოუდგენია თავი და არა საბჭოთა მწერლად, ბოლო წინადადებით კი ნოდარ დუმბაძე ცხადყოფს იმასაც, რომ სულაც არ მიაჩნია თავი ამერიკელი ხალხის მტრად და მოქიშპედ, რადგან მისთვის ისეთივე მისაღებია ამერიკული ლიტერატურიდან ამოკითხული ღირებულებები, როგორც მსოფლიო ლიტერატურის ნებისმიერი ტექსტიდან.

ტექსტში არაერთგან შეგვიძლია გავამახვილოთ ყურადღება საკითხზე, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს. მივყვით ტექსტის განვითარებას და ვნახოთ.

ერთ მონაკვეთში, ქართველი ადამიანების გარემოცვაში ბავშვობა-გამოვლილი ქალი ხვდება მწერალს ამერიკაში. ქალს უდიდესი სიყვარული აქვს ჩარჩენილი ქართული სიტყვისა და ქართველებისადმი. როდესაც იგი რწმუნდება, რომ მწერლისგან ნამდვილად ქართული სიტყვა ესმის და იგებს, რომ ქართველ ადამიანს კვლავ შეხვდა, ასეთი რეაქცია აქვს: „ – ღმერთო! – თქვა მოხუცმა ქალმა, მერე მხარზე თავი დამადო და ჩუმად ატირდა... ავტირდი მეც. კიდევ კარგი, აივანზე ვიდექით და ვერავინ გვხედავდა... თუმცა რაა ამაში დასაძრახი? იგი ალბათ თავის ბავშვობას მისტიროდა, მე კი ჩემთვის გაურკვეველმა სევდანარევმა სიხარულმა მომგვარა ცრემლი“... ამ ციტატის მიმართაც ჩნდება კითხვა: – რა ატირებს მწერალს? რატომ არის მწერლის სიხარული სევდანარევი? მხოლოდ მოხუცის ცრემლების გამო, თუ კიდევ იმიტომ, რომ საქართველო და ქართული სიტყვა, რომელიც

ასე შეჰყვარებია უცხო ქალბატონსაც კი, საფრთხის ქვეშაა?! ვფიქრობთ, ორივე მიზეზი ერთად არის ნაგულისხმევი და მწერალიც იმიტომ წერს სიტყვათშეთანხმებას „ჩემთვის გაურკვეველმა“, რომ მკითხველმა თავადაც დაატანოს ძალა გონებასა და ფიქრს და ემიოს სევდის წარმომავლობა საკუთარ თავშიც.

ტექსტის იმ მონაკვეთში, სადაც ამერიკაში აკრედიტებულ საბჭოთა ოჯახებთან შეხვედრას ასახავს, მწერალი აღნიშნავს: „იყო სიხარული, ხვევნა, კოცნა, ალერსი და ცოტა ცრემლიც. ჩვენ პატარა ლიტერატურული საღამო მოვაწყვეთ და მოგზაურობის შთაბეჭდილებები გავუზიარეთ თანამემამულეებს. დარბაზის საერთო ხარხარში ჩემი გამოსვლა თურმე ასე დავიწყე: „ჩემო ძვირფასო და საყვარელო თანამემამულეებო, ჩემო ძვირფასო ქართველებო! შემდეგ რავთქვი დარმოვეყვი, აღარც კი მახსოვს ხეირიანად“. შესაბამისად, იკვეთება, რომ მწერლისთვის მთავარია ქართველებს მიმართა; თანამემამულეებად მხოლოდ ქართველები მოიხსენია, ხოლო სხვა ყოველივე ნაკლებად მნიშვნელოვნად მიუჩნევია. რა არის ეს, თუ არა კვლავ „წერტილოვანი დარტყმა“ მათზე, ვისაც ქართველების ეთნიკური გაქრობა და ასიმილირება სურს?! სხვა მხრივ ყოვლად წარმოუდგენელია, კიდევ მცირე რამის გახსენება მაინც ვერ მოეხერხებინა ავტორს, მაგრამ ეს მას უბრალოდ აღარ სჭირდებოდა ტექსტში.

დამაფიქრებელია ისიც, რომ ამერიკელ კორესპონდენტთან შეხვედრაც საქართველოს გამო სურდა მწერალს და არა საბჭოეთის დაცვის მიზნით. ამასთან დაკავშირებით ნაწარმოებში ვკითხულობთ: „ძალიან დამაინტერესა მასთან შეხვედრამ, მაგრამ რამდენჯერაც არ დავურეკე, არ დამხვდა; მაინტერესებდა მასთან შეხვედრა თუნდაც იმიტომ, რომ ერთობ უდიდძამო და ძველ ცნობებს გამოსცემენ ხოლმე და მე რაიმე ახალს, მართალს, საინტერესოსა და ცინცხალს მოვუყვებოდი საქართველოზე“. აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ამერიკაში გაჟღერებულ ინფორმაციებს ტყუილს ან გაყალბებულს ვერ და არ უწოდებს ნოდარ დუმბაძე; იგი მხოლოდ ინფორმაციათა დაგვიანებულობაზე ამხვილებს ყურადღებას და მათი ნეგატიური კონტექსტის გადასაწონ შესაძლებლობად საქართველოს შესახებ მოყოლას ისახავს მიზნად.

ჩვენი მოსაზრების კვალდაკვალ, უნდა გავიხსენოთ დიალოგი ერთ-ერთ ამერიკელთანაც, რომელიც ასე მიმართავს მწერალს: „– შენ რუსს არ გავხარ და ვინ ხარ? – მკითხა.

- ქართველი ვარ, – ვუპასუხე.
- რუსები როგორ გეპყრობიან?
- როგორც ქართველებს.
- ეგ როგორ გავიგო, – მკითხა გაკვირვებულმა.
- კარგად გაიგე, – ვუთხარი“. სამ კითხვას უპასუხებს ნოდარ დუმბაძე,

პირდაპირი პასუხი მხოლოდ ის არის, რომ იგი ქართველია და არა რუსი. რაც შეეხება მომდევნო ორ შეკითხვას, ორივეზე გაცემული პასუხი ორაზროვანია და ბუნდოვანი. ჩვენი აზრით, ისინი ცალ-ცალკეც და ჯამურადაც უარყოფით განწყობას უფრო გამოხატავს, ვიდრე დადებითს. გარდა ამისა, დადებითი განწყობის გამოსახატავად ორაზროვნების ტაქტიკის გამოყენება მწერალს არაფერში დასჭირდებოდა; მას შეეძლო

ეპასუხა, რომ რუსები კარგად გვექცევიან, ან არ გვასხვავებენ და უამრავი ამდაგვარი პათოსის ვარიანტი, თუმცა პასუხი – „როგორც ქართველებს“ დიდ გაურკვევლობას ტოვებს. დიახ, მთელი ჩვენი პრობლემა ისაა, რომ რუსები „როგორც ქართველებს“ განსხვავებულად და არცთუ კეთილად გვექცევიან. ყურადსაღებია, რომ პასუხის ორაზროვნება არ გამოპარვია კითხვის დამსმელსაც. იგი მიხვდა პასუხის მინიშნებას, მაგრამ სცადა დაზუსტება, რაზეც მწერალი პასუხობს: „კარგად გაიგე“ – ამდაგვარი პასუხით მან, პრაქტიკულად, დაამოწმა ცნობისმოყვარე ამერიკელის მიხვედრილობა, თუმცა პასუხისათვის ორაზროვნების მინიჭებით დატოვა თავდაცვის შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევისათვის, რადგან, ამ დიალოგის მიხედვით, მოპასუხე, ფაქტობრივად, ადასტურებს იმას, რომ, რაც უკვე გაიგო, „კარგად გაიგო“ ადრესატმა, ამდენად, მწერალი მოკლებულია მეტის თქმის, დაკონკრეტების შესაძლებლობას, რაც ასე არ იქნებოდა, პასუხისთვის დადებითი კონტექსტის მინიჭების სურვილი რომ ჰქონოდა.

საქართველოსადმი რუსეთის დამოკიდებულებასთან დაკავშირებული პროტესტის ერთგვარი გამოხატულებაა სატელეფონო კომპანიაში მწერლის ვიზიტის ამსახველი სიუჟეტიც. მწერალი აქაც ერთგვარი ალეგორიულობით, მინიშნებითი გამოხატვით ეხება საკითხს: „ფირმის პრეზიდენტს, რომელმაც ცაში აიყვანა თავისი სატელეფონო ინდუსტრია, ვკითხე:

– რამდენ საათში შეგიძლიათ, ბატონო პრეზიდენტო, მოსკოვს დაგვაკავშიროთ?

იგი დაფიქრდა, მერე საათზე დახედა და მიპასუხა:

– ორმოცდაექვს წამში.

– თუ შეგიძლიათ ახლა, აქვე, ამ ოპერაციის დემონსტრირება? – ვკითხე და ფიასკოს მოლოდინში გამარჯვებული სახით გადავხედე ჩვენი დელეგაციის წევრებს... ორმოცდაერთ წამში ყურმილში მოსკოველი ტელეფონისტი გოგონა ალაპარაკდა.

– ახლა თბილისს თუ შეგიძლიათ დამალაპარაკოთ 41 წამში? – ვკითხე.

– მე მოსკოვზე დაგენიძლავეთ, ბატონო, და მოსკოვი რამდენ ხანში მოგცემთ თბილისს, მაგაზე პასუხს არ ვაგებო, გადამასხა ცივი წყალი“. ვფიქრობთ, ფრაზა რომელმაც მწერალზე ცივი წყლის გადასხმასავით იმოქმედა, ძალზე დამაფიქრებელია. კომპანიის დირექტორის სიტყვები მტკივნეულად რომ აღიქვა ნოდარ დუმბაძემ, აშკარად საქართველოს სუვერენიტეტზე გულისტკივილს ხდის საცნაურს და საერთოდ არაფერ შუაშია ამ ფრაზასთან სწრაფი ზარის განხორციელების სურვილი. მას ადარდებს, რომ თბილისსა (რომელიც, ზოგადად, საქართველოდ უნდა გავიაზროთ) და დანარჩენ სამყაროს შორის მოსკოვი აღმართულა და არც ის არის ცნობილი, მოსკოვი ანუ რუსეთი რამდენ ხანში დაუბრუნებს ქართველ კაცს თბილისს ანუ საქართველოს.

ამ დიალოგის შედეგად შექმნილი განწყობის გაგრძელებას სხვაგანაც არაერთგზის შენიშნავს მკითხველი. მაგალითად, სატელეფონო ზარის განხორციელებასთან დაკავშირებული შემთხვევის მსგავსად, საფოსტო გზავნილის გაგზავნის შემთხვევაც გამოუყენებია ავტორს: „გაერთიანებული

ერების ორგანიზაცია ხელოვნების უნიკალურ ნამუშევართა საგამოფენო გალერეას უფრო ჰგავს, ვიდრე კაცობრიობის პოლიტიკური ცხოვრების კარდიოლოგიურ ცენტრს. აქ ვნახე შაგალის ცნობილი ვიტრაჟი. მერე მისი რეპროდუქციით დამშვენებული ღია ბარათი შევიძინე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განთქმული ფოსტიდან საპირველმაისო მოლოცვა გამოვუგზავნე ჩემს ოჯახს თბილისში. მისამართი რუსულად დავწერე, ტექსტი წერილისა კი – ქართულად. არ ვიცი, რომელმა ფოსტამ შეირცხვინა თავი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ის ღია ბარათი, ამერიკიდან რომ დავბრუნდი, ორი თვის თავზე მომიტანა ჩვენმა ფოსტალიონმა. დაღუპული გემის კაპიტანივით ბოთლში რომ ჩამედო ის წერილი და ოკეანეში გადამეგდო, ორი თვის დაგვიანებით, ალბათ, ისედაც მოვიდოდა თბილისში“. ამ მონაკვეთიდანაც კარგად ჩანს, რომ მწერალი კვლავ მიანიშნებს ქართულ-რუსული ურთიერთობის ავ ბუნებაზე. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ კონვერტზე რუსულად მოუწია მისამართის დაწერა, ხოლო ტექსტი, ცხადია, ქართულად შეადგინა. როგორც არ უნდა უცნაურად გამოიყურებოდეს, ჩვენ ეს პასაჟი იანგულის ("Hellados") სიტყვებს გვახსენებს, რომ სამშობლო არა ზედაპირზე, გარედან წარწერაში, არამედ შიგნითაა, გულის სიღრმეში.

მწერალს მხედველობიდან არც დისნეი-ლენდი და ჰოლივუდი გამორჩენია და აქაც საქართველოს რეალობა გასაგებად არის ნახსენები: „არ ვიცი, ახალი რა ვთქვა მათ შესახებ, ერთს კი ვიტყვი, ცოდვას ის ბავშვი, რომელიც ამ საუკუნეში დაიბადა და ეს ორი ზღაპრული ქვეყანა არ უნახავს. დისნეი-ლენდში გაცოცხლებულია ყველა ამერიკული სათავგადასავლო და ფანტასტიკური წიგნი, რომელიც ბავშვობაში წაგვიკითხავს“, – წერს ნოდარ დუმბაძე და, პრაქტიკულად, ამბობს, რომ საბჭოთა ბავშვები ეცოდება, რადგან ისინი უამრავ შესაძლებლობას არიან მოკლებულნი. პირდაპირ პარალელსაც თავადვე ავლებს, აღნიშნავს რა, რომ დისნეი-ლენდისა და ჰოლივუდის ნახვის შემდეგ კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რა დიდი ცოდვაა „მზიურის“ მშენებლობის გაჭიანურება. „განა შეიძლება დისნეი-ლენდისა და ჰოლივუდის ერთი ხელით აშენება?! დისნეი-ლენდი უბრალო კონკრეტითა და რკინიგზით დაიწყო, შემდეგ თანდათან მოვიდა მონორელსამდე და კოსმოდრომამდე. ძნელიაო, იტყვის კაცი, ვიცი, ბატონო, ვიცი, ადვილი ისაა, სულ რომ არ ავაშენოთ“. ამგვარი მსჯელობის ფონზე, არ გვგონია, ვინმემ, თუ ობიექტურობის მცირე სურვილი შერჩენია, ვერ შეძლოს დანახვა კრიტიკისა, მითითებისა და იმის ხაზგასმისა, რომ საბჭოთა კავშირს დიდი ჩამორჩენა აქვს დროში და ეს ყველაფერი ზღუდავს საქართველოს განვითარებასაც, რადგან „მზიურის“ განვითარების შეფერხებაში საქართველოს განვითარების შეფერხებასაც გულისხმობს მწერალი ჩვენი აზრით.

ტექნიკურ, არქიტექტურულ თუ აგრონომიულ მიღწევებს იმდენად მასშტაბური პროგრესი ატყვია, მწერლის თვალთახედვით, რომ აქ რაიმეს შენიღბვას აზრიც არ აქვს, ამიტომ როდესაც ამერიკელი მეგზური აქვს ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, იგი აბსოლუტურად ადასტურებს ამ უპირატესობას: „ეს მსოფლიოში ყველაზე დიდი ესტაკადააო, ეს – მსოფლიოში ყველაზე ლამაზი აეროდრომიო, ეს – მსოფლიოში ყველაზე

უკეთესი სასტუმრო. უკეთესი მართლაც არ მენახა და სიამოვნებით ვუჯერებდი... დაბოლოს, მართლაც არქიტექტურული საოცრება – ახალი ორლიანის 85000-ადგილიანი გადახურული სტადიონი.

ახალი ორლიანი, მისისიპი, მარკ ტვენი, ტომ სოიერი და ჰეკლბერი ფინი მთელი მსოფლიოს ბავშვებმა იციან, ვისაც კი ბავშობა ჰქონია. ეს ქალაქი-საოცრება – ნახევარდ ევროპული, ნახევრად – ამერიკული და ცოტა – აღმოსავლური სულით გაჟღენთილი, მექსიკის ყურის ნაპირას მცხოვრებ მზის ქვეშ, ცხელ ქვიშაზე წამოწოლილ გაშიშვლებულ მზეთუნახავს ჰგავს“. აქვე არ დავიწყებია მწერალს საბჭოთა კავშირში არსებული ღარიბი ფენისა და ამერიკელი ღარიბი ფენის ყოფას შორის პარალელის გავლება, კერძოდ კი, მათ მიერ ქუჩაში ფულის შეგროვების ფორმათა არსებითი განსხვავების აღწერა: „ბურბონ სტრიტზე ერთი გავლა ათი დოლარი დამიჯდა. ვერ წავიწყმიდავ სულს და ვერ ვიტყვი, რომ ეს ხალხი ხელგამლილი თხოულობენ ფულს, ყველა თავის შრომით, ნიჭით და უნარით შოულობს იმ გროშებს, რომლებსაც ძირითადად ტურისტები უყრიან ხოლმე კონსერვის კოლოფებსა და გაქონილ ქუდებში“. ქუჩის ხელოვანთა კულტურა იმ დროისათვის უცნობია საბჭოთა კავშირისთვის და, ბუნებრივია, მწერლისთვის. „ფულის მთხოვნელებსა“ და ამ ხალხს შორის განსხვავება ძალზე თვალში საცემია.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ამერიკელების მოწესრიგებულ და პასუხისმგებლიან დამოკიდებულებაზეც სამსახურებრივი მოვალეობებისდმი; აოცებს დისციპლინა, ორგანიზებულობა, რომლის მსგავსიც არასოდეს უნახავს და მოსწონს დასაქმებულის უფლებების პატივისცემის ფაქტი, რომელიც, ასევე, დიდად აოცებს: „აქ, შესვენება თუ არ არის, გამორიცხულია მუშასთან მასლაათი, შეკითხვების მიცემა: როდის შეუყვარდა ეს პროფესია, ან სხვა; ეს არის უკიდურესად დამაბული და თავაუღებელი შრომის განაწილების სამაგალითო პროცესი. არავინ ჭანჭიკებს, ქლიბებს და ჩაქუჩებს არ ეძებს, ყველაფერი შეუფერხებლად მოდის და თავის ადგილზე დევს, არავინ არავის არ ეკამათება და ებღარძუნება. ცხადია, ასეთ პირობებში რთულია მუშაობა, მაგრამ აქ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი. როდესაც მუშას ქარხანაში იღებენ, იღება ორმხრივი ხელშეკრულება-შეთანხმება. ერთი მხრივ, აღნიშნულია მუშის ვალდებულებანი, მეორე მხრივ კი – ადმინისტრაციისა. ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ორივე მხარე ერთნაირად ისჯება, შეღავათი არ არსებობს. მსგავსი დისციპლინა, ორგანიზებულობა, ავტომატიზაცია, ტექნიკური სრულყოფა და სისუფთავე ადრე მე არსად მინახავს. საავტომობილო ქარხანაში შევედი და თავი სანიტარული ჰიგიენის კაბინეტში მეგონა“.

საოცარი აღტაცებით იხსენებს მწერალი, ასევე, ნიუ-იორკში არქიტექტორ ფრენკ რაიტის აგებულ გუგენჰაიმის სპირალისებურ მუზეუმს, რომელშიც ყველა გენიოსს „თავისი ნახევრად ღია ბლოკი, ოთახი თუ საკანი აქვს“ და აღწერას დანაწევრებით დაურთავს ასეთ კომენტარს: „რა უბრალოა და რა მარტივია, ისევე, როგორც ყველაფერი გენიალური“.

ზოგადად, ლავირებების საშუალებით გულწრფელი ემოციების გამოხატვა, როგორც ჩანს, მიზანმიმართული ამოცანაა ნოდარ

დუმბადისთვის, რადგან, როგორც ჩვენს ზემოთ ნახსენებ სხვა ნარკვევშიც გამოვკვეთეთ, მწერალი ყველა კონკრეტულ მონაკვეთში ზუსტად ასეთი პრინციპით ცდილობს ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას მკითხველისთვის. მაგალითად ეს პასაჟი გავიხსენოთ: „უცებ ქუჩის კუთხიდან გამოცვივდნენ 15-16 წლის შორტიანი და ფეხშიშველა გოგონები. ექვსნი იყვნენ. ჟივილ-ხივილით შემოეხვივნენ პოლიციელებს. ცხენებს ფაფარს უწნავდნენ, ლამაზად მოდრეკილ კისრებს უკოცნიდნენ, თან ხელებს უთათუნებდნენ. უცებ გოგონები შექუჩდნენ და სიმღერა დაიწყეს გატაცებით. პოლიციელები სასწრაფოდ გაიჭიმნენ და სამხედრო სალამი მისცეს გოგონებს, გოგონები ამერიკის ჰიმნს მღეროდნენ. მე და ბაკლანოვი აღტაცებული ვუცქეროდით ამ საოცარ სანახაობას. ერთი წუთით წარმოვიდგინე, რუსთაველის პროსპექტზე გოგონებმა მილიციელი რომ გააჩერონ და „მრავალჟამიერი“ უმღერონ, რა მოხდება-მეთქი“... თითქოს ბუნდოვანია, მწერალი ამართლებს თუ იწუნებს მოქალაქეთა და პოლიციელთა ჰარმონიულ ურთიერთობას, რასაც საბჭოთა „გაი“-ს შესახებ ვერაფრით იტყვოდა, თუმცა ის, რომ ასეთი ურთიერთობა და ადამიანური კეთილგანწყობა შესაძლებელია, რომ სამართალდამცავი და კანონმორჩილი მოქალაქე თანამოაზრენი არიან და საზოგადოების ერთი და იგივე ნაწილი (და არა საბჭოელ მოქალაქესა და მილიციელივით – საზოგადოების განსხვავებული შემადგენელი), ამას პირუთვნელად წერს ნოდარ დუმბაძე. აქვე დავძენთ, რომ შეუძლებელია, „კუკარაჩას“ ავტორისთვის აღმაფრთოვანებული არ ყოფილიყო მოვლენა, რომელიც გულისხმობდა, საჭიროების შემთხვევაში, ადამიანური დამოკიდებულების კანონზე მაღლაც კი დაყენებას; მან ხომ „კუკარაჩას“ სახით თავადვე შექმნა საბჭოური მილიციის წარმომადგენლის იდეალიზებული ტიპაჟი, რომელიც სისტემის ორგანულ ნაწილად კი არა, განსაკუთრებულად, ერთეულ მოვლენად წარმოადგინა საკუთარ მოთხრობაში.

ამერიკელი პოლიციელის ადამიანურობას უსვამს ხაზს კიდევ ერთი პასაჟი, სადაც ასეთ რამეს ვკითხულობთ: „ბატონი პოლიციელი ბრძანებს, სულ მუდამ ვეჭვობდი, რომ რუსები ჩვენზე კარგად შეიარაღებულები არიანო, მითარგმნა მაიკლმა. სამივეს გულიანად გაგვეცინა“. პოლიციელის ადამიანურობა, რა თქმა უნდა, მისი უცხოელ ტურისტთან თავისუფალი კომუნიკაციით და ლაღი ხუმრობით არის გამოვლენილი, მაგრამ აქვე დიდი მნიშვნელობა აქვს თავად ხუმრობის შინაარსს, რომელზეც საუბარში მონაწილე სამივე ადამიანს თურმე გულიანად უცინია. თუ დიალოგის კონტექსტს კარგად დავაკვირდებით, პირდაპირი გაგებით – ხუმრობის შინაარსი, როგორც იტყვიან – სასაცილოდ არ ეყოთ. ამ ფონზე კი საბჭოთა კავშირის „უძლეველობის“ მითიც ძალზე გაშარჟებულად გამოიყურება.

დემოკრატიულობა აღაფრთოვანებს მწერალს საუნივერსიტეტო ცხოვრებაშიც. აღნიშნულთან დაკავშირებით ის წერს: „დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე დემოკრატიზმმა, რომელიც სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის არსებობს. აუდიტორიის მიღმა ყველანი თანასწორნი არიან, არავითარი დამაბულობა, მხოლოდ უშუალოება, რაც, რა თქმა უნდა, ზრდილობისა და ეთიკის დარღვევის ხარჯზე არ ხდება“.

სხვადასხვა გარემოებასა და სიტუაციაში არაერთგან აღნიშნავს ავტორი, რომ დაეთანხმა და გაიზიარა ამერიკული სახელმწიფოებრივი მიდგომა, ამერიკელთა მოსაზრებანი. ამდენი აზრთა თანხვედრა კი მას არ აქვს საბჭოთა სისტემისა თუ მისი დელეგაციის წევრი ავტორების მიმართ; შესაბამისად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ყოველივე თავისთავად არის იდეური პოზიციონირება და არა მხოლოდ ფაქტების კონსტატაცია.

მწერალს, როგორც საბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთ მსხვერპლს, რომ არაერთი არასწორი წარმოდგენა ჰქონდა ამერიკაზე, ამას ბევრ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნავს, რადგან ხშირად უწევს დაწერა, რომ ესა თუ ის მოვლენა მას სხვანაირად წარმოედგინა, მათ შორის ამას ამბობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზეც კი. ზოგ შემთხვევაში არ აკონკრეტებს, რომ ეს წარმოდგენები მიზანმიმართული ცრუპროპაგანდით არის ნასაზრდოები; თუმცა არის მონაკვეთებიც, სადაც იგი მაინც ახერხებს ირიბად, მაგრამ გასაგებად ახსენოს მცდარ წარმოდგენათა წარმოშობის საფუძვლები: „უნდა ვთქვა, ნიუ-იორკი არც ისე ჭუჭყიანი ქალაქია, როგორაც ჩვენი კინოკორესპონდენტები და ფოტოკორესპონდენტები სახავენ და გვიჩვენებენ. მართალია, ამერიკელები, რაც სანაგვე ყუთებში არ ეტევა (სანაგვე ყუთი კი ყოველ ათ ნაბიჯზე დგას), პირდაპირ მიწაზე ყრიან და საღამოსთვის ქუჩები საკმაოდ დანაგვიანებულია, სამაგიეროდ, დილით ამ გოლიათ ქალაქს კვლავ კრიალი გაუდის“.

არ გამორჩენია ავტორს ერთი საინტერესო მოვლენაც. იგი შეეხო საბჭოთა კავშირიდან ინტელიგენციის ამერიკაში გაქცევის ფაქტებსაც. ერთგან მას ძველი ნაცნობი ქართველი ხვდება, ხოლო მეორე ჯერზე ახსენებს უკრაინელ ვინმე შევჩენკოს, რომელიც მწერლის ამერიკაში ყოფნის დროს ჩაბარდა თურმე ამერიკის საემიგრაციო სამსახურს. დავიწყებთ იქიდან, რომ ორივე მათგანის ქმედებაზე მწერლის მკაცრ შეფასებას მოჩვენებითობის ელფერი დაჰკრავს, ხოლო ლოიალური დამოკიდებულება მაინც ჟონავს, განსაკუთრებით თანამემამულესთან მიმართებით: „დიდხანს ატრიალა ჭიქა ხელში, მერე უხმოდ გადაჰკრა, შეტრიალდა და წავიდა. გული დამეთუთქა. გამოვეკიდე.“

– მაინც რატომ წამოხვედი? – ვკითხე.

– აქ სამ წელიწადში ოთხი წიგნი გამოვეცი, – მიპასუხა ნიშნის მოგებით.

– იმ წიგნებში ჩვენებს აგინებ?

– არა ბიჭო, ამერიკელებს! – მიპასუხა ირონიულად.

– მერედა, საბჭოთა კავშირში ვინ გიშლიდა ამერიკის გინებას? – ვუთხარი.

ერთხანს მიყურა, მერე ხელი ჩაიქნია და წავიდა...“ – ასე წერს ქართველის შესახებ და, ცხადია, ბოლომდე ვერ ჩასწვდება მისი ქმედების გამო დაეთუთქა გული მწერალს, თუ იმის გამო, რამაც სამშობლოდან გაქცევამდე მიიყვანა ადამიანი.

დასკვნა

ამდენად, განხილული არცთუ ვრცელი დოკუმენტური ტიპის უაღრესად საინტერესო მოთხრობა „ოდისევსის დაბრუნება“, ჩვენი შეფასებით, დიდი გულისტკივილით დაწერილი ტექსტია, რომლის კითხვისას მკითხველს ხშირად აღედგრება სინანულის, მოწყენილობისა

თუ გულისტკივილის ამოუცნობი განცდა, განსაკუთრებით კი – ქართველ მკითხველს. ზოგან ეს გახლავთ გულისტკივილი ეროვნული თვითმყოფადობის საკითხთან მიმართებით, სხვაგან – ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობის შევიწროვების გამო, სხვაგან – სინანულის განცდა დემოკრატიზმის შეზღუდვას ეხმაურება, ან გაფლანგულ შესაძლებლობებსა და დროში ჩამორჩენილობას. ლაიტმოტივად მიჰყვება ეს პათოსი მთელს მოთხრობას. მიგვაჩნია, რომ „ოდისეისის დაბრუნება“ ერთადერთი ნაწარმოებია ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში, სადაც ვერც ერთ მონაკვეთში გულიანად ვერ გაიცინებ, რადგან ყოველი მწერლისეული იუმორისტული გადახვევა აქ რაღაც ამოუცნობი სევდის საბურველშია გახვეული, ჩვენ კი სწორედ ამ ამოუცნობის ამოცნობას ვთავაზობთ მკითხველს წინამდებარე ნარკვევის სახით.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა., მწერლობის მოთვინიერება. თბილისი, 1990.

დუმბაძე 1992: დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მეოთხე. თბილისი, 1992.

ხორბალაძე 2022: ხორბალაძე გ., საბჭოთა რეჟიმის სისტემურ მანკიერებათა მხილებანი ნოდარ დუმბაძის რომანში „თეთრი ბაირაღები“. ჟურნალი „ფილოლოგიური კვლევები“, V. გორი, 2022.

ხორბალაძე 2024: ხორბალაძე გ., იუმორით შენიღბული სარკაზმი – როგორც ტოტალიტარული რეჟიმის კრიტიკის იარაღი მხატვრულ ლიტერატურაში. ჟურნალი „ფილოლოგიური კვლევები“, VIII. გორი, 2024.

References and Sources

Bakradze 1990: Bakradze A., The Taming of Literature. Tbilisi, 1990.

Dumbadze 1992: Dumbadze N., Collected Works in Four Volumes, Vol. 4. Tbilisi, 1992.

Khorbaladze 2022: Khorbaladze G., Exposing Systemic Flaws of the Soviet Regime in Nodar Dumbadze's Novel "The White Banners", Journal of Philological Studies, V. Gori, 2022.

Khorbaladze 2024: Khorbaladze G., Sarcasm Masked by Humor as a Tool for Criticizing Totalitarian Regimes in Fiction, Journal of Philological Studies, VIII. Gori, 2024.